



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 07

2017 წელი 28 თებერვალი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სასაფლაოებზე საფლავის გამოყოფისა და დაკრძალვის მომსახურების საფასურის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 აგვისტოს №25 დადგენილების შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სასაფლაოებზე სამართავად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხელვაჩაურის სასაფლაოები“-სათვის გადაცემის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ივლისის №63 განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული საჯარო საფლავის გამოყოფისათვის დადგენილ იქნას საფასურის შემდეგი განაკვეთები:

ა) ერთი ან ორი სამარის გამოყოფის მოთხოვნის შემთხვევაში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის უფასოა, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის თითოეულ სამარეზე 250 (ორასორმოცდაათი) ლარი;

ბ) ორზე მეტი სამარის გამოყოფის მოთხოვნის შემთხვევაში ორ სამარეზე ზევით თითოეულ დამატებულ სამარეზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის 100 (ასი) ლარის ოდენობით, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხელვაჩაურის სასაფლაოები“-ს მიერ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საერთო სასაფლაოებზე გამოყოფილ სამარეზე დაკრძალვის, ამოსვენებისა და გადასვენების მომსახურების საფასური დადგინდეს შემდეგი ოდენობით:

ა) მცირეწლოვანის დაკრძალვაზე 50 (ორმოცდაათი) ლარი;

ბ) ამოსვენებაზე – 100 (ასი) ლარი;

გ) გადასვენებაზე - 100 (ასი) ლარი;

დ) ქალაქთან ახლოს მდებარე ხელვაჩაურის საერთო სასაფლაოებზე (განთიადის, სალიბაურის, კაპანდიების, თხილნარის მეურნეობის, ჩელტისა და ახალსოფლის) დაკრძალვის მომსახურების საფასური 100 (ასი) ლარი;

ე) ხელვაჩაურის სხვა საერთო სასაფლაოებზე დაკრძალვის მომსახურების საფასური ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის 50 (ორმოცდაათი) ლარი, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის 100 (ასი) ლარი.

3. გარდაცვლილი სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელი პირი განთავისუფლდეს საფლავის გამოყოფისა და დაკრძალვის მომსახურების საფასურის გადახდისაგან.

4. წინამდებარე დადგენილებით დადგენილი საფასური ირიცხება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ხელვაჩაურის სასაფლაოების“ ანგარიშზე და ხმარდება მისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

5. დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ჯუმბერ ვარდმანიძე